ინტელექტუალური საკუთრების მფლობელის უფლებები

გიორგი ქურდიანი
სტუ-ს დოქტორანტი

XXI საუკუნე ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკაა, სადაც არამატერიალური აქტივები თავისი მნიშვნელობითა და ღირებულებით მატერიალურს უტოლდება და მათ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი როლის შეტანა შეუძლიათ. უფრო მეტიც, მსოფლიო აღიარებს რა ინტელექტუალური საკუთრების როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მიმართავს კონკრეტულ ზომებს, რათა მოხდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა, წახალისება და არსებული კანონმდებლობის აღსრულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემა მოიცავს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღსრულებისა და სახელმწიფო ინვესტირების საკითხებს.

თანამედროვე ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას, კვლევებისა და განვითარების (R&D) ხელშეწყობას და ინოვაციების სტიმულირებას. ამით განვითარებული ქვეყნები ინარჩუნებენ მოწინავე პოზიციებს საერთაშორისო ბაზრებზე და ამყარებენ საკუთარ უპირატესობას განვითარებად ქვეყნებთან შედარებით. შედეგად, თუ განვითარებად ქვეყნებს სურთ კონკურენცია გაუწიონ მოწინავე ქვეყნებს და საერთაშორისო ბაზრებზე საკუთარი ნიშა დაიკავონ, მათ პირველ რიგში უნდა დანერგონ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური სისტემა.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლება ინტელექტუალური საკუთრების მფლობელს კანონით ანიჭებს ძალაუფლებას სხვას აუკრძალოს მისი გამოყენება ან/და ამ საკუთრების გამოყენების განსაზღვრულ წესებს ადგენს. ინტელექტუალური საკუთრება თანამედროვე გაგებით, ნიშნავს სამართლებრივ უფლებას, რომელიც წარმოიშვება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად ბიზნესის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში.[1]

საქართველოსთვის, როგორც თანამედროვე მსოფლიოს სუბიექტისთვის, რომელსაც აქვს ამბიცია დაიკაოს საკუთარი ნიშა გლობალურ პოლიტიკასა და ეკონომიკაში, აუცილებელია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფილი ჰქონდეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური სისტემა. ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესაბამისი სისტემის არსებობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისთვის, როგორიცაა ევროკავშირი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა.[2]

დასავლეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა. პირველი საერთაშორისო შეთანხმებები დაიდო 1880-იან წლებში. კერძოდ, ხელმოწერილ იქნა პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების შესახებ.[3] ამავე წლებში დაიდო ბერნის კონვენცია ლიტერატურისა და ხელოვნების ნამუშევრების დაცვის შესახებ.[4]

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა ქ. სტოქჰოლმში 1967 წლის 17 ივლისს, ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს:

1. ლიტერატურის, ხელოვნების და სამეცნიერო ნაწარმოებებს;
2. მსახიობ-შემსრულებელთა გამოსვლებს, ფონოგრამებს და საერთო მაუწყებლობის პროგრამებს;
3. გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში;
4. მეცნიერულ აღმოჩენებს;
5. დიზაინს;
6. სასაქონლო ნიშნებს;
7. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და ყველა სხვა უფლებას, რომელიც გამომდინარეობს ინტელექტუალური საქმიანობიდან მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში.

განსხვავებით დასავლეთის პრაქტიკისა, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მოკლე ისტორიულ პერიოდს მოიცავს. ჩვენ-

[1] *სარალიძე ბ.,* პატენტმცოდნეობა (ლექციათა კრებული), თბილისი 2011. გვ. 5.

[2] მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია - http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/agrm7_e.htm

[3] სამრეწველო საკუთრების დაცვის **პარიზის კონვენცია** (1883 წ.) http://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs_wo020.html

[4] ბერნის კონვენცია ლიტერატურული და არტისტული ნამუშევრების დაცვისათვის, September 9, 1886. http://www.wipo.int/treaties/en/ip/berne/trtdocs_wo001.html

თან ინტელექტუალურ უფლებათა სამართლის ჩამოყალიბება დაიწყო 1992 წელს მიღებული გამოგონების, სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულებებით. შემდგომ მიღებულ იქნა საქართველოს კანონები საავტორო უფლებების, საპატენტო, სასაქონლო ნიშნებისა და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებებისშესახებ.[5]

ინტელექტუალურ უფლებათა სამართლის სისტემამ დასრულებული სახე მიიღო 2010 წელს დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ.

მიუხედავად ამ მცირე პერიოდისა, ქვეყნის განვითარებისა და საერთაშორისო არენაზე მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობიდან გამომდინარე, ინტელექტუალური საკუთრების თემამ ქართულ სივრცეში შესაბამისი კანონმდებლობისა და ამ კანონმდებლობის სააღმსრულებლო პროცედურების გამართვის საკითხის აუცილებლობა მოიტანა. საქართველში, საბაზრო ეკონომიკა, არსებობის მოკლე პერიოდს მოიცავს და ოციოდე წლის ისტორიას ითვლის. მათ შორის, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებას ტრანზიტული ეკონომიკა (ენერგო რესურსები, ტვირთაგადაზიდვა და სხვ.), ინვესტიციების მოზიდვა და ტურიზმის განვითარება წარმოადგენდა.

ნებისმიერმა ქვეყანამ, განსაკუთრებით ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყანამ, რომელიც მიისწრაფვის ეკონომიკის ზრდისკენ უნდა უზრუნველყოს არსებული რესურსების აქტიურად გამოყენება, მოძიება და წახალისება, იმპორტისა და ექსპორტის ხელშეწყობა და მიმზიდველი საინვესტიციო და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება.

ინტელექტუალური საკუთრება განიმარტება, როგორც უფლებათა ერთობლიობა, რომელიც ადამიანის გონებრივი შემოქმედებითი საქმიანობით წარმოიშვება.[6] *ინტელექტუალური საკუთრება ყველაზე ფართო გაგებით ნიშნავს სამართლებლივ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობიან ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად მრეწველობაში, ტექნოლოგიებში, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ინტელექტუალური საკუთრების მფლობელს კანონით ანიჭებს ძალაუფლებას სხვას აუკრძალოს მისი გამოყენება ან/და ამ საკუთრების გამოყენების განსაზღვრულ წესებს ადგენს. ვინაიდან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები წარმოადგენენ ინფორმაციას (იდეა ან სხვ.), მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების სპეციალური სამართლებრივი ნორმები და მექანიზმები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს სხვადასხვა კონვენციებში, საერთაშორისო შეთანხმებებსა დაეროვნულ საკანონმდებლო აქტებში.*

ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება" პირველად გამოჩდა საფრანგეთში რევოლუციის პერიოდში, როდესაც 1818 წელს ფრანგმა ლიბერალმა *ბენჯამინ კონსტანტმა* თვის ნაშრომში წარმოსთქვა ფრაზა „საკუთრება, რომელსაც ეწოდა ინტელექტუალური" (property which has been called intellectual). ასევე, ცნება ინტელექტუალური საკუთრება, 1845 წელს იქნა გამოყენებული მასაჩუსეტსის სასამართლოს საპატენტო საქმეში დავოლ ალ. *ბრაუნის* წინააღმდეგ (patent case *Davoll et al. v. Brown*). სადაც მოსამართლე *ჩარლზ ლ. ვუდბერი* (Charles L. Woodbury) წერდა, რომ „მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ჩვენ დავიცვათ ინტელექტუალური საკუთრება, გონების შრომა, წარმოება და ინტერესები, რომლებიც ისეთივე ადამიანის საკუთრებაა როგორც, ხორბალი რომლის კულტივაციასაც ის ახდენს".[7]

ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება" მისი თანამედროვე მნიშვნელობით, პირველად სამართლებლივად დამკვიდრდა 1867 წელს ჩრდილო გერმანული კონფედერაციის კონსტიტუციით, რომლითაც უკვე გახდა შესაძლებელი ინტელქტუალური საკუთრების კანონმდებლობით დაცვა.

ნაპოლეონის კოდექსი (1804) ინტელექტუალურ საკუთრებაზე ცალკე არაფერს ამბობს, მაგრამ რამდენიმე მუხლის შინაარსიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმ პერიოდში არაპირდაპირ, მაგრამ მაინც იყო გათვალისწინებული არაქონებრივი უფლებების ყიდვა-გაყიდვის საკითხები.

მაგალითად, ფრანგული სამოქალაქო სამართლის კოდექსის (ნაპოლეონის კოდექსი 1804) მე-

[5] საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ, თბილისი, 1999 წლის 5 თებერვალი.

N 1795 -IIs http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=245082

საქართველოს კანონი, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ, თბილისი, 1999 წლის 23 ივნისი http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=245127,

საქართველოს საპატენტო კანონი, თბილისი, 1999 წლის 5 თებერვალი, N 1791 IIs, http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=245138

[6] ინტელექტუალური საკუთრების სახელმძღვანელო, მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია, ჟენევა 2004. გვ. 3.

[7] "only in this way can we protect intellectual property, the labors of the mind, productions and interests are as much a man's own...as the wheat he cultivates, or the flocks he rears."

3 წიგნის, მე-4 ნაწილის 1607-ე მუხლის თანახმად „ არაქონებრივი უფლებების გადაცემა ხდება ან უფლების დათმობის ან გამყიდველის თანხმობით მყიდველის მიერ უფლების დათმობის გზით", ხოლო მე-8 თავის 1693-ე მუხლის თანახმად „ის ვინც ყიდის კრედიტს ან სხვა არაქონებრივ უფლებებს, უნდა უზრუნველყოს მისი არსებობა გადაცემის მომენტში, თუმცა ეს მოხდება გარანტიის გარეშე."

როგორც სპეციალისტები ამბობენ ინტელექტუალური საკუთრება არსებობს იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანმა დაიწყო განვითარება, აზროვნება და რაღაც ამოუცნობისკენ სწრაფვა. ალბათ, სწორედ ამიტომ დღემდე ვერ მოხერხდა ინტელექტუალური საკუთრების არსებობის წარმოშობის ზუსტი მომენტის დადგენა, თუმცა ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული ობიექტების (საავტორო უფლებები, გამოგონება, პატენტი, სასაქონლო ნიშნები) მიახლოებითი წარმოშობის ისტორიები ცნობილია.

სახელმწიფოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კანონების არსებობას ორი ძირითადი მიზეზი გააჩნია. პირველი, ეს არის საკუთარ ნაწარმოებებზე შემოქმედთა მორალური და ქონებრივი უფლებებისა და საზოგადოების მიერ ამ ნაწარმოებებით სარგებლობის უფლების ასახვა კანომდებლობაში. მეორე, მთავრობის მიერ მიზანდასახული პოლიტიკის გატარება შემოქმედებითი მოღვაწეობის, შემოქმედების შედეგების გავრცელებისა და გამოყენების ხელშეწყობისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სასარგებლოდ, აგრეთვე კეთილსინდისიერი თავისუფალი ვაჭრობის წახალისებისათვის.

ინტელექტუალური საკუთრების უფლება არის კანონით მინიჭებული უფლება, რომელიც მსგავსად სხვა საკუთრებისა შესაძლებელია შეძენილ, გაყიდულ ან გასხვისებულ იქნას. ეს ტრანზაქციები არის არაფიზიკური და არაცვეთადი.[8] აღსანიშნავია, რომ საავტორო უფლების დაცვა არ არის დამოკიდებული ნაწარმოების არც ხარისხზე და არც მის ღირებულებაზე. შესაბამისად, ნაწარმოების ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს მისი ქმნილების დაცვა, განურჩევლად ამ ნაწარმოების ხარისხისა და შექმნის მიზნისა.

ამასთანავე, მატერიალური ობიექტებისგან განსხვავებით, ადამიანის გონების ქმნილება (იდეა), რომელიც საფუძვლად უდევს გამოგონებას, მაგალითად, მუსიკალური ნაწარმოები ან სასაქონლო ნიშანი, მესამე პირთა მიერ გამოყენებისგან შეუძლებელია დაცული იქნეს მხოლოდ ავტორთა მიერ მათი უბრალო ფლობის საფუძველზე. როცა ადამიანის ინტელექტის ნაყოფი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ხდება, შემოქმედს აღარ ძალუძს, გააკონტროლოს მისი გამოყენება. მხოლოდ უბრალო ფლობის საფუძველზე ობიექტის დაცვის შეუძლებლობის ეს ძირითადი ფაქტი წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კანომდებლობის კონცეპტუალურ საფუძველს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფად ითვლება, არა მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების მისი მფლობელის ნებართვის გარეშე გამოყენება, არამედ მაგალითად ისეთი სასაქონლო ნიშნის შექმნა, რომელიც ჰგავს უკვე არსებულ და კარგად ცნობილ სასაქონლო ნიშანს. ამგვარი ქმედება ხშირად განპირობებულია მოლოდინით, რომ მომხმარებელს ისეთივე დადებითი ასოციაცია გაუჩნდება ამ სასაქონლო ნიშნის მიმართ, როგორც უკვე კარგი რეპუტაციის მქონე, ბაზარზე დამკვიდრებული სასაქონლო ნიშნის მიმართ. პარიზის კონვენციის მე-6ბ მუხლი ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში იგივე ან მიმსგავსებული სასაქონლო ნიშანს ცალსახად უნდა გაუუქმდეს რეგისტრაცია.[9]

როგორც წესი კონკრეტულ ქვეყანაში, ფირმას ან პირს შეუძლია დაარეგისტრიროს ნებისმიერი სასაქონლო ნიშანი, რომელიც ჯერ რეგისტრირებული არ არის. მიუხედავად ამისა, თუ მსოფლიოში უკვე არსებობს ამავე დასახელების სასაქონლო ნიშანი, მის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს ამავე სახელწოდების სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის აკრძალვა ან თუნდაც უკვე არსებულის რეგისტრაციის გაუქმება თუ დაამტკიცებს, რომ მან პირველმა შექმნა ეს ნიშანი და ის უკვე კარგად ცნობილი ბრენდია. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში კომპანია S.A. Wimpy-ს შეტანილი ჰქონდა განცხადება Burger King-ის ნიშნის რეგისტრაციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თავად Burger King კორპორაციას ჯერ არ ჰქონდა დარეგისტრირებული ეს სასაქონლო ნიშანი სამხრეთ აფრიკაში და შესაბამისად არც რაიმე სახის რეპუტაცია ჰქონდა შექმნილი აფრიკის კონტინენტზე,S.A. Wimpy-ს უარი ეთქვა აღნიშნული მარკის რეგისტრაციაზე. რეგისტრატორმა საგენტომ დაასკვნა, რომ Wimpy-ის აღმასრულებელი დირექტორისთვის კარგად იყო ცნობილი Burger King-ის რეპუტაციის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მიზანდასახულად ცდილობა კარგი იმიჯის მქონე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, მაშინ როდესაც ამ ნიშნის მფლობელი რეალურად სხვა კომპანია იყო. მსოფლიო პრაქტიკაში ანალოგიური დავები წარმოიშვა

[8] ეს ტრანზაქციები არაცვეთადია, ვინაიდან ინტელექტუალური საკუთრების გასხვისება, გაყიდვა და ა.შ. შესაძლებელია განუსაზღვრელ პერიოდში, იქამდე, სანამ მასზე მოთხოვნა არსებობს.

[9] პარიზის კონვენცია, 6B მუხლი კარგაც ცნობილ ბრენდებზე. 1979. გვ. 8.

Eastman Photographic Materials Company-სა და KODAK-ს შორის, აგრეთვე HARRODS LIMITED-სა და R. Harrod Limited-ს შორის. აქვე უნდა აღინიშოს, რომ ისეთი ქართული კომპანიები, რომლებიც საქართველოში კარგად დამკვიდრებული და ცნობადი სახელების მიბაძვით არიან დაკავებული. ხშირია ისეთი შემთხვევები, როგორიცაა ხვანჭკარის მიმსგავსება, მაგალითად „ხუვან ჩქარა მოდი" - ხვანჭკარა ან M&l – l&m, როდესაც ახალ დასახელებას კარგად ცნობილ ბრენდს ამგვანებენ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის მიზნით. ამ ტიპის დავები წყდება იმ კომპანიის თუ პირის სასარგებლოდ, ვინც დაამტკიცებს, რომ პირველმა შექმნა ესა თუ ის სასაქონლო ნიშანი და მან უკვე მოიპოცა კარგი რეპუტაცია მომხარებლებს შორის, ცნობადია და ასოცირდება კარგ ხარისხთან. აღნიშნული დაცვის მექანიზმები ვრცელდება არა მხოლოდ სასაქონლო ნიშანზე, არამეც ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტებზე.

არსებული ტრადიციით, ინტელექტუალური საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ***სამრეწველო საკუთრებად*** და ***საავტორო უფლებად***. **სამრეწველო საკუთრება** მოიცავს გამოგონების დაცვას პატენტით, გარკვეული კომერციული ინტერესების დაცვას კანონებით და სასაქონლო ნიშნებით. გარდა ამისა სამრეწველო საკუთრება გულისხმობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას. **საავტორო უფლება** ინტელექტუალურ ნაწარმოებთა ავტორებს და სხვა შემოქმედთ ანიჭებს გარკვეულ უფლებას, რის საფუძველზეც მათ შეუძლიათ განსაზღვრული დროით ნება დართონ ან აკრძალონ მათი ნაწარმოების ამ თუ იმ სახით გამოყენება.

გლობალური ვაჭრობის მზარდი ტემპი და ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს საერთაშორისო კომუნიკაციის გააქტიურებას, რის წყალობითაც მსოფლიო კომერცია უფრო და უფრო იზრდება. პარალელურად რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების განვითარების შედეგად, როგორიცაა მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (the North American Free Trade Agreement) და მზარდი ევროკავშირი, ამცირებს სატარიფო ბარიერებს მთელს მსოფლიოში. ცივი ომის დასრულების შედეგად, ახალი ბაზრები წარმოიქმნა იმ ქვეყნებში, რომლებიც მანამდე იზოლირებულები იყვნენ დანარჩენი მსოფლიო ბაზრებისგან. მოსახლეობის დიდი მასები აღმოსავლეთ ევროპაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეემატნენ მსოფლიო მომხმარებლებს.

დღესდღეობით მსოფლიოს 140 ქვეყანა არის პარიზის კონვენციის წევრი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მსხვილ და კარგად ცნობილ ფირმებსაც კი არ აქვთ მუდმივი რეგისტრაცია მათ კუთვნილ სასაქონლო ნიშნებზე, ვინაიდან აღნიშნული დიდ ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული. ამგვარად, შესაძლებელია, რომ რომელიმე ძალიან მსხვილი და ცნობილი კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო ნიშანი არც იყოს დარეგისტრირებული ამა თუ იმ ქვეყანაში. ეს კარს უხსნის არაკეთილსინდისიერ მწარმოებლებს, რომლებიც აყალბებენ ან ითვისებენ სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას. მსოფლიოს მასშტაბით არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან მსოფლიო ეკონომიკისთვის მიყენებული ზარალის ზუსტი ოდენობა უცნობია, თუმცა მხოლოდ აშშ-სთვის ყოველწლიურად საავტორო უფლებების არაკეთილსინდისიერი გამომყენებლების მიერ დაახლოებით 58 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ზარალი ადგება.[10]

INTELLECTUAL PROPERTY RIGHTS

GEORGE QURDIANI - PhD of GTU

According to article "Intellectual Property Rights" intellectual property exists since humans started to develop, think and aspire to something new and undiscovered. Intellectual property is defined as rights related to creations of human mind. According to broader definition intellectual property refers to legal rights that emerge as a consequence of intellectual activities in production, technology, science, literature and art. Intellectual property rights grant intellectual property owner the right to forbid the use of intellectual property by others and define rules of using the intellectual property. Through centuries international community developed special legal norms and mechanisms ensuring rights on intellectual property that are now reflected in various conventions, international agreements and national legal acts.

It is essential to build an effective intellectual property protection system in Georgia that is an important requirement to international organizations membership.

[10] პოლიტიკის ინოვაციების ინსტიტუტი. გვ. 1. გამოცემა №189. ნამდვილი ღირებულება საავტორო უფლებების გაყალბებისგან აშშ-ს.